



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011780674171921

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

71513

19 / თებერვალი / 2021 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 71869/17; **თარიღი:** 17.02.2021 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირი: იური მათიაშვილის (პასპორტის ნომერი L1TV88HCJ) წარმომადგენელი თეიმურაზ ფირალიშვილი (პირადი ნომერი 01024007835).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის შიდა ქართლის რეგიონული ოფისი (შემდგომში „შიდა ქართლის რეგიონული ოფისი“).

გასაჩივრებული გადაწყვეტილებები: სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ № 882020727375-07 (14.02.2021) გადაწყვეტილება და უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი 68.15.42.257) რამაზ მღებრიშვილის (პირადი ნომერი 43001003737) საკუთრების უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის შესახებ №882017166381-09 (25.04.2017) გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირის მოთხოვნა: სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ № 882020727375-07 (14.02.2021) გადაწყვეტილების და უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი 68.15.42.257) რამაზ მღებრიშვილის (პირადი ნომერი 43001003737) საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმება ზედდების ნაწილში.

ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართული პირი: რამაზ მღებრიშვილი (პირადი ნომერი 43001003737).

უძრავი ნივთის მისამართი: ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუისი.

№71869/17 ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ის აკმაყოფილებს წარმოებაში მიღებისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ პირობებს და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება; ამ კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში; ამ კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას

დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

ამასთან, № 882020727375 სარეგისტრაციო წარმოებაზე, 2020 წლის 05 ოქტომბერს მომზადებულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებულია ზედდება 68.15.42.257 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ნივთთან (მესაკუთრე რამაზ მღებრიშვილი, პირადი ნომერი 43001003737). შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების გათვალისწინებით, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმულ უნდა იქნეს რამაზ მღებრიშვილი (პირადი ნომერი 43001003737).

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 194-ე, 195-ე მუხლების შესაბამისად,

გ ა დ ა წ ვ ვ ი ტ ა :

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში იური მათიაშვილის (L1TV88HCJ) წარმომადგენლის თეიმურაზ ფირალიშვილის (პირადი ნომერი 01024007835) № 71869/17 (17.02.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ № 882020727375-07 (14.02.2021) გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში.
2. № 71869/17 (17.02.2021 წ.) ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ იქნეს რამაზ მღებრიშვილი (პირადი ნომერი 43001003737).
3. ადმინისტრაციული საჩივრისა და თანდართული დოკუმენტაციის ასლები გადაეგზავნოთ დაინტერესებულ მხარეს და შიდა ქართლის რეგიონულ ოფისს.
4. დაინტერესებულ მხარეს განემარტოს, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვს გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადოს აცილება და ისარგებლოს დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით;
5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2), ქარელის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქარელი, მეგობრობის ქუჩა) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.
6. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge;
7. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

